

## მეგრულ-აფხაზური ენობრივი ურთიერთობის დინამიკა (მეცხენეობის ლექსიკის მიხედვით)

საყოველთაოდ ცნობილია აფხაზური და კოლხური ენების, კერძოდ, მეგრული დიალექტის ურთიერთგავლენის ინტენსივობა. ლექსიკური თანხვედრა ყველაზე ხშირია აფხაზური ენის აბჟუურ დიალექტსა და მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოში, თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ ცალკეული ფორმები შეღწეულია, ერთი მხრივ, აბაზურ ენაში, მეორე მხრივ კი ქართული ენის დიალექტებსა და სვანურ ენაშიც.

მეგრულისა და აფხაზურის საერთო ენობრივ მასალაში სოლიდური ადგილი უჭირავს მესაქონლეობის ლექსიკას. ჩვენ საშუალება გვქონდა შეძლებისდაგვარად დაკვირვებოდით ამ ლექსიკის თემატიკას და საგულისხმო შედეგი მივიღეთ: დარგის ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, თითქმის ნახევარზე მეტი მოიცავს მცირე მომთაბარეობის დარგს, ე. წ. „ტრანსჰუმანსეს“.

ცნობილია, რომ მეგრელები და აფხაზები ისტორიულად მესაქონლეები იყვნენ. ეთნოგრაფიული ხასიათის მასალები (ბჟანია 1962; შამილაძე 1974; სახოკია 1985), აგრეთვე ჩვენს მიერ სოფელ მუჟავაში გამოკვლეული ტრანსჰუმანსური მარშრუტები გვიჩვენებს, რომ ენგურის ხეობის სოფლების საზაფხულო (სააფუნო) საძოვრები იწყებოდა სამეგრელოს ტერიტორიიდან და გრძელდებოდა აფხაზეთ-სვანეთის ქედზე თვით ყარაჩაიძე. ამ გზებსა და საძოვრებზე მეგრულ

და აფხაზ მესაქონლეებს ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან.

ყოველივე ეს გვაძლევს საშუალებას, ახსნა მოვუძებნოთ ზემოთ მითითებული ლექსიკის სიმრავლეს ორსავე ენობრივ ერთეულში.

შევეცდებით, წარმოვადგინოთ მხოლოდ ერთი სემანტიკური ჯგუფის, კერძოდ, მეცხენეობის ლექსიკის ნაწილი. ჩვენს ხელთ არსებული მასალა დიფერენცირების შემდეგ ამგვარ სახეს მიიღებს:

ა. მეგრულიდან ან მეგრულის გზით ქართულიდან (resp. ქართველურიდან) ნასესხები მასალა:

ა-კ-ან „კეხი“ (ჯანაშია 1954: 162; ამიჭბა 1975: 119).

**კეხ-** ლექსემა გვაქვს სამსავე ქართველურ ენაში. აქედან უსესხებია იგი აფხაზურს თანხმოვანთა პალატალიზაციით. ხ-ს პალატალიზაციის მიზეზია ქართულ-მეგრული სახელობითი ბრუნვის -ი სუფიქსი, კ-ს პალატალიზაცია კი გამოიწვია ფონეტიკურმა წესმა, რომლის მიხედვითაც აფხაზურში ნასესხებ სიტყვებში უკანაენისმიერნი პალატალიზდებიან, თუ გამსესხებელ ენაში მათ მოსდევს ი ან ე ხმოვანი (ლომთათიძე 1976: 170).

ა-გ<sup>ღ</sup>რგ<sup>ღ</sup>ლ „რგოლი“, აღ<sup>რა</sup> ა-გ<sup>ღ</sup>რგ<sup>ღ</sup>ლ „ჯილავი“ (ჯანაშია 1954: 86).

ფორმა მეგრულიდან ჩანს ნასესხები აფხაზურში. რგოლი მეგრულად **გორგოლია**-ა. სხვათა შორის, ჯილავის აღმნიშვნელ ერთ-ერთ ლექსემად სწორედ ეს ფორმა გამოიყენება (ჩხოროწყუ). აფხაზურ კომპოზიტში **აღ<sup>რა</sup> ა-გ<sup>ღ</sup>რგ<sup>ღ</sup>ლ აღ<sup>რა</sup>** („აღვირი“) ფორმას ქართულიდან ნასესხებად მიიჩნევს პ. ჭარაია (ჭარაია 1912: 16).

**ა-კუმპელ** „მრგვალი რამ“ (ჯანაშია 1954: 154).

ვვარაუდობთ, რომ ამ ფორმისთვის ამოსავალი უნდა იყოს მეგრული **კოპული** || **კომპული** „კეხის ნაწილი ორივე მხრიდან ამოწეული მომრგვალებული ადგილი“ (ყიფშიძე 1914: 261). ამ ვარაუდისთვის არც სემანტიკური და არც ფონეტიკური დაბრკოლება არ არსებობს. მეგრულ ფორმაში განვითარებული მ სონორი გვავარაუდებინებს, რომ გამსესხებელი ენობრივი ერთეული სწორედ მეგრულია.

მეგრული ელემენტი **ყიარი** „ყევარი“ წარმოდგენილია ჰიბრიდულ კომპოზიტი **ა-ყიარჩუ** „ტვირთის გადამზიდი ცხენი“ (კვარჭია 1981: 32). ქართული **ყევარი** მეგრულად **ყიარ-ია**. ზუსტად ასეთივე ფონეტიკური ცვლილებები აქვს განცდილი ქართულ **მწევარ-** ფუძეს მეგრულში, სადაც გვაქვს **წიარი** სახეობა. საინტერესოა, რომ მეგრული **წიარი აფხაზურშიც** არის შესული **ა-წიარ** ფორმით (გვანცელაძე 1986: 76-78). ლექსემები სესხებისას ასეთ ტრანსფორმაციას გვიჩვენებენ: **ყევარი > ყიარი > ა-ყიარ; მწევარი > წიარი > ა-წიარ**.

ამავე კონტექსტში განიხილება კომპოზიტი **აჩუგუბალ** „უბელო ცხენი“ (კვარჭია 1981: 95).

ქ. ლომთათიძე ლექსემას მიიჩნევს ჰიბრიდულ კომპოზიტად, სადაც საზღვრული აფხაზური **აჩუ** „ცხენია“, მსაზღვრელად კი ქართული **უბელო-ა** გამოყენებული. ლექსემის ტრანსფორმაცია ამგვარად ხდება: **აჩუბალ > აჩუბალ > აჩუგუბალ**. ნასესხებ მასალაში აფხაზურში ე || ა, ო ხმოვანი სონორის მომდევნოდ იძლევა ა-ს, შემდეგ უმახვილოდ დარჩენილი საერთოდ იკარგება. გარდა ამისა, უ-ს წინ განვითარდა უკანაენისმიერი კ ხშული. აბაზურში

კომპოზიტს ფუძის ბოლოს დარჩენილი ლ-ც ჩამოშორდა და მივიღეთ (ა)ჩუბა (ლომთათიძე 1981: 84-85).

აფხაზური და აბაზური ფორმების შედარება გვავარაუდებინებს ამ ლექსემის სესხების ქრონოლოგიას. როგორც ჩანს, სიტყვა უბელო აფხაზურ-აბაზურმა ისესხა ამ ენათა ხანაში, XVI ს-ის მეორე ნახევრამდე, როცა ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე ყუბანის აუზში ცხოვრობდა (გვანცელაძე 1997: 28-31).

აფხაზთა ყუბანის აუზიდან ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოსვლისა და აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთიანობის დაშლის შემდეგ აფხაზურში მოხდა კ-ს განვითარების ფონეტიკური პროცესი (აჩუგუბაძე), აბაზურში კი აფხაზურისგან დამოუკიდებლად მოიკვეცა აუსლაუტში ლ სონორი – (ა)ჩუბა.

ქართულ-კოლხურიდანაა ნასესხები აფხაზურში ა-ტურა, ა-ჩაგურა „ურა ცხენი“ (ჯანაშია 1954: 269; ამიკა, 1975: 117); ა-ტარჩან, ა-ჩატარჩან „ოჩანი ცხენი“ (ჯანაშია 1954: 265); ა-მარღა, ა-ჩემარღა „თვალმარლი ცხენი“ (არშა 1980: 85); ა-ფჰაჰარ „ფაფარი“, მეგრ. ფაჰაჰი (ჯანაშია 1954: 288); ა-ლარჯ, ა-ჩელარჯ „ლურჯა ცხენი“ (კვარჭია 1981: 126). ეს უკანასკნელი გვაქვს აბაზურშიც ლარჯ სახით (შაგიროვი 1989: 139), რაც იმაზე მიგვითითებს, რომ სესხება აფხაზურ-აბაზური ენობრივი ერთობის დაყოფამდე, ე. ი. XVI ს-ის მეორე ნახევრამდე, რადგან ამ პერიოდისთვის ივარაუდება აფხაზთა მიგრაცია დღევანდელი აფხაზეთის მიწა-წყალზე.

ბ. აღმოსავლურენოვანი სამყაროდან აფხაზურში შეთვისებული ლექსიკა, სადაც შუალედურ რგოლად მეგრული დიალექტი იგულისხმება:

აფხაზურ ფოლკლორში ზღაპრული ცხენის აღსანიშნავად გვხვდება ფორმა **ა-რამ** (ამიჭბა 297: 115). სპარსულიდან შემოსული ლექსემა ფართოდ არის გავრცელებული ქართველურ ენებში. ეს ფორმა აფხაზურში ქართველურიდან ნასესხებად მიაჩნია ა. შაგიროვს (შაგიროვი 1989: 143).

ქართველურ ენებში ფართოდ გამოიყენება თურქულიდან ნასესხები **ზერდაგი** ჩალისფერი ცხენის აღსანიშნავად. აქედან გადასული ჩანს აფხაზურ ენაში, სადაც დამკვიდრებულია **ა-ზარდაგ**, **ა-ჩიზარდაგ** ფორმით (ჯანაშია 1954: 108). სესხების ამ გზაზე მიუთითებს პალატალიზებული **გ**- თანხმოვანი აფხაზურში, რომელიც ქართულ-მეგრულის სახელობითი ბრუნვის ნიშნის რეფლექსია. **ე > ა** პროცესი, როგორც აღვნიშნეთ, აფხაზურ ენაში ნასესხებ სიტყვებში ბუნებრივი მოვლენაა.

აფხაზურში ურჩი, ზარმაცი ცხენის აღმნიშვნელ ლექსემად გამოიყენება **ა-ნადი**, **ა-ჩიზნადი** (ჯანაშია 1954: 202). პ. ჭარაიას თვალსაზრისით, სიტყვა მეგრული **ნოდი**-ს აფხაზური ვარიანტი უნდა იყოს (ჭარაია 1912: 14). ვ. კვარჭიას ვარაუდით, ამოსავალი უნდა იყოს სპარსული **ენად** „სიჯიუტე, ურჩობა, შეუსმენლობა“ (კვარჭია 1981: 90), მაგრამ ასეთ შემთხვევაში აუხსნელი რჩება აფხაზურში ბოლოვიდურა ი ხმოვნის რაობა.

**ინად** ფორმის ვარიანტები ნასესხობის სახით გვაქვს ლაზურში, ქართული ენის რიგ დიალექტებში. მათგან, მიუხედავად სემანტიკური იგივეობისა, შორს დგას მეგრული **ნოდი** || **ნოდია**, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანლაუტში ი ხმოვანი დაიკარგა, თვით კი **ა > ო**. ერთი

რამ ცხადია, **ნოდი** || **ნოდია** არის საფუძველი აფხაზური **ა-ნადი** ფორმისათვის. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს სესხების ფონოტაქტიკური წესები, კერძოდ, აფხაზურში რიგ ნასესხებ სიტყვებში გამსესხებელი ენის ო ხმოვნის ადგილს იჭერს ა, როცა მის წინ დგას სონორი (ლომთათიძე 1976: 51). აფხაზურ ფორმაში ბოლოკიდურა ი ხმოვნის შენარჩუნება (რომელიც, როგორც ჩანს, **ნოდ-ი** ფორმის სახელობითი ბრუნვის ნიშანია) ამ სიტყვის სესხების სიახლეზე უნდა მიგვანიშნებდეს. წესით, იგი ამ პოზიციაში ან უნდა რედუცირებულიყო, ან გ ხმოვანი მოეცა, როგორც ეს ხდება ძველად ნასესხებ მასალაში.

მეგრულის საშუალებით ნასესხებად ვვარაუდობთ **ა-ჩალანდარ ჩე** „საპალნე ცხენი“ (არშბა 1980: 82). ამოსავალია სპარსული **ჩარვანდარ** „ოთხფეხის პატრონი“ (ქეგლ VIII: 163), ჩარვანდარის ცხენი „გასაქირავებელი, საპალნე ცხენი“.

მეგრულმა ლექსემა შეითვისა რამდენადმე შეცვლილი სახით. კერძოდ, **რ > ლ**, დაიკარგა **ვ** და ენა-კბილისმიერი **დ-ს** წინ განვითარდა **ნ** სონორი. იმავე **ჩალანდარ** სახით ლექსემა წარმოდგენილია იმერულსა და გურულ დიალექტებში (ქეგლ VIII: 160).

ამდენად, სპარსულიდან ნასესხები ლექსემის აფხაზურში დამკვიდრების შუალედურ რგოლად ივარაუდება მეგრული **ჩალანდარი**.

აფხაზური ენის აბჟურ დიალექტში გვხვდება **ა-მაჰმეზ** „დეზი“ (ამიჭბა 1975: 119). ეს ლექსემა **მუხამუზი** || **მოხამუზი** ფორმით გვაქვს მეგრულში. ი. ყიფშიძეს არკვეული აქვს, რომ **მუხამუზი** მეგრულში ნასესხებია არაბულიდან (ყიფშიძე 1914: 282).

საცვებით დასაშვებია, რომ აფხაზური **ა-მაჰმეზ** მომდინარეობდეს მეგრული **მუხამუზი** || **მოხამუზი** ფორმისაგან. უ > გ, და უ||ო > ა, აგრეთვე ხ > ჰ (შდრ. მეგრ. **კალმახა** > აფხ. **ა-კალმაჰა**) აფხაზურ ნასესხებ ლექსიკაში ბუნებრივი ფონეტიკური პროცესია.

გარდა აფხაზური ენის ფონოტაქტიკის წესის სრული დაცვისა, ამ თვალსაზრისის სისწორეში გვარწმუნებს ლექსემის აფხაზურ ენაში გავრცელების არეალი – გვხვდება აბჟურ დიალექტში, სადაც გაცილებით მძლავრად შეიმჩნევა მეგრულის ზეგავლენა.

სპარსულიდან მეგრულის მეშვეობითაა შესული აფხაზურში **ა-ბალგმ**, **ა-კუადგრ ა-ბალგმ** „უნაგირის ბალიში“ (ჯანაშია 1954: 63); აგრეთვე **ა-თარჩე** || **ა-ჩართე** „თარჩია, ცხენოსნობის სახეობა“ (ამიჭბა 1975, 120).

გ. აფხაზურიდან მეგრულში შემოსული სიტყვები:

**აგვარა** || **ანგვარა** „საქონლის შესადენი გადაუხურავი ადგილი“. ეს ფორმა მეგრულს შეთვისებული აქვს აფხაზური **ა-გარა-სგან** (ჯანაშია 1954: 80). ლექსემა გვაქვს აბაზურშიც **გარა** „ღობე“.

აფხაზურიდანვეა შესული მეგრულში **ა-გარა-სგან** მიღებული **აგვართა** „ჯოგი“, რომელსაც, გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა (**აგვართა ორინჯი** „ჯოგი, მრავალი საქონელი ერთად“), ხალხის კრებულის, ბრბოს მნიშვნელობაც აქვს შეძენილი. ლექსემა ხშირად გვხვდება მეტათეზირებული ფორმით: **აგვართა** || **არგვართა**.

ლექსემა მეგრულის საშუალებით შესულია გურულ დიალექტში და ნიშნავს მწყემსების ან ზოგჯერ მონადირეთა ქოხს მთაში ან ტყეში (ღლონტი 1974: 22).

აფხაზური **ა-ხკაარა**, ბ. ჯანაშიას განმატებით, შემოღობილი ადგილია, რომელიც ეზოს აკრავს (ჯანაშია 1954: 415). წ. ბჟანას მიხედვით კი, ცხენების ღია სადგომი (ბჟანია 1962: 102).

ლექსემა შემოსულია მეგრულში **ახკარა** || **აკარა** სახით, ნიშნავს პირუტყვთათვის საბალახოდ შემოღობილ ადგილს. მეგრულში შეთვისების შემდეგ სიტყვამ ჯერ **ა** ხმოვანი დაკარგა -**აა**- კომპლექსში, შემდეგ ცალკეულ შემთხვევებში - **ბკ**- კომპლექსიც გამარტივდა > **კ**.

ლექსემა დასტურდება მეგრულ ტოპონიმიაში (ცხადაია 1999: 16). შდრ. ჯავახურ დიალექტში დაცული **ახრა** „სამოვარზე პირუტყვის სადგომი, რომელიც შემოზღუდული არ არის“ (მარტიროსოვი 1984, 223). თუ ეს ფორმა სპარსულიდან ნასესხები **ახორ**- || **ახურ**-ის ფონეტიკური სახენაცვალი არ არის და შესაძლებელია აფხაზურ ფორმას (**ა-ხკაარა**-ს) დაუკავშირდეს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლექსემის დამკვიდრება უნდა მივაწეროთ მეგრულ მეჯოგეებს, რომლებსაც საქონელი სააფუნოდ ძალიან შორს მიჰყავდათ – ჩრდილოეთით აფხაზეთ-სვანეთის ქედით თვით ყარაჩაიმდე და სამხრეთით – მესხეთ-ჯავახეთამდე (შამილაძე 1974: 58).

**ა-ხწარა** „დადაღვა, დამღის დასმა“ (ბჟანია 1962, 75); **ა-ხწარ** „სერი“ (ჯანაშია 1954: 431). მეგრულში აფხაზურიდან ნასესხებად ივარაუდება **ხინწირა** || **ხენწერა** „ნიშანი, დალი“. ფორმა შესულია სვანურ ენაშიც (ბჟანია, იქვე).

**ა-ფდან** „რკინის ბორკილი“ (ჯანაშია 1954: 275; კვარჭია 1981: 33) საერთო აფხაზურ-ადილური ლექსემაა. შდრ. ადილ. **ფდღენ**, ყაბარდ. **ფდენ** (შაყრილი 1968: 81).



მეგრულში **აბდანი** ცხენის რკინის დასაბორკია და აფხაზურიდან გადმოსულია ა- ზოგადობის პრეფიქსის დაცვით. როგორც ჩანს, ფუძეში მოხდა რეგრესული ასიმილაცია: **დ**-ს გავლენით **ფ** გამჟღერდა > **ბ**.

ამ ჯგუფთან დაკავშირებით გვინდა შევნიშნოთ, რომ აფხაზური ლექსიკა მეგრულში (მეცხენეობისა მაინც) არც ისე დიდი ხნის წინათ ჩანს ნასესხები. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ აფხაზური ლექსიკა ლაზურში არ ჩანს. მეგრელებისა და ლაზების ტერიტორიული გათიშვა ქართულ ენაზე მოლაპარაკე ტომების მიერ IX საუკუნეში დასრულდა, ე. ი. აფხაზური მეცხენეობის ლექსიკა ამის შემდგომია ნასესხები მეგრულში. მეტიც, რაკი ქართველური ლექსიკა ნაკლებად ჩანს აბაზურში, მათი სესხება XVI საუკუნეზე ადრე არ უნდა მომხდარიყო.

დ. ლექსიკა, რომელიც ნასესხებია როგორც აფხაზურში, ისე ქართველურ ენებში, მაგრამ ჭირს მათი სესხების მიმართულების გარკვევა:

ავშრის აღმნიშვნელი **ა-ნახთა** (ჯანაშია 1954: 208) სიტყვის ფუძე ფართოდაა გავრცელებული აფხაზურ-ადილურ ენებში: აბაზ. **ნახთა**, უბიხ. **ნახთა**, **ნოხტა**, ადიღ. **ნახტა**, **ნახტა** (კვარჭია 1981: 93), აგრეთვე ყარაჩაულ-ბალყარულში **ნუქთა**, აზერბ. **ნოხთა**, ჩუვაშ. **ნახთა**. ლექსემა წარმოდგენილია მონღოლურ ენაში და, როგორც ვარაუდობენ, ძირი ჩინურამდეც კი მიდის (შაგიროვი 1989: 94).

იგივე ლექსემა გვაქვს მეგრულში **ნახვთა** || **ნახუთა** || **ნახტა** ფორმათა (ყიფშიძე 1914: 287; ჭარაია 1997: 102) სახით.

გ. კლიმოვი ამ სიტყვას მეგრულში აფხაზურიდან შესულად მიიჩნევს (კლიმოვი 1986: 182), თუმც თავის მოსაზრებას არ ასაბუთებს.

აქ სესხების მიმართულების გარკვევა ჭირს, ვინაიდან თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს სიტყვა მეგრულიდანაც შეიძლება ესეხა აფხაზურს. საკითხის გადასაწყვეტად ხელჩასაჭიდი მასალა არ ჩანს.

**აბორა** || **აბოურა** „საქონლის სადგომი“ (ჯანაშია 1954: 70) სხვადასხვა ფონეტიკური სახით და გარდამავალი სემანტიკით გავრცელებულია მთის კავკასიურ ენებში: აბაზ. ბორა „ბოსელი“, ყაზარდ. ბოუ „გადახურული სადგომი ცხენებისა და კამეჩებისათვის“, ადიღ. ბგ „სორო, ბუნაგი“, ბალყ. ბაუ „გომური“ (კვარჭია 1981: 127).

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის მითითებულია, რომ ლექსემა მეგრულში აფხაზურიდან არის შეთვისებული (ჭარაია 1912: 20; ბჟანია 1962: 108; კვარჭია 1981: 127).

თვით აფხაზურში **აბორა** || **აბოურა** ძირეული ლექსემა არ არის, შეთვისებულია სპარსულიდან (კვარჭია 1981: 127).

ლაზურში **აბორა**-ს არსებობა ეჭვქვეშ აყენებს მეგრელისათვის სესხების შუალედურ რგოლად აფხაზური ენის ჩათვლას. რეალური იქნებოდა გვეფიქრა, რომ **აბორა** || **აბოურა**... კოლხურმა ისესხა მეგრელებისა და ლაზების ტერიტორიულ გათიშვამდე. თუ სესხება უფრო გვიან მოხდა, ლაზურმა უშუალოდ სპარსულიდან ისესხა, მეგრულმა კი – აფხაზურის საშუალებით, რაც, ჩვენი აზრით, ნაკლებად სავარაუდოა.

საერთო ნასესხობათა რიცხვში ითვლება **ა-ლაგამა** „ლაგამი“ (ჯანაშია 1954: 311), **აბჟანდა** „უზანგი“ (არშბა 1980: 14) **ა-სედლა**, შდრ. მეგრ. **სედლო** „ქალის უნაგირი“, **ა-მარქაფ** „მარქაფა“.

განხილული ერთეულები მხოლოდ უმცირესი ნაწილია მეგრულ-აფხაზური საერთო მწყემსური ლექსიკისა.

ვფიქრობთ, მასალის სრული ანალიზი საშუალებას მოგვცემს ვივარაუდოთ, რომ ენობრივი კონტაქტები გაპირობებულია არა მარტო ტერიტორიული სიახლოვით, არამედ სამეურნეო ყოფის თანმხლები აუცილებელი და გარდაუვალი ურთიერთობით ორ ენობრივ კოლექტივს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამიჭბა 1975 – С. А. Амичба, Термины коневодства в абхазско-абазинских языках იკე-ს წელიწდეული, II, თბილისი.
2. არშბა 1980 – Н. В. Аршба, Словарь животноводческих терминов, абхазско-русский, русско-абхазский. Сухуми.
3. ბჟანია 1962 – Ц. Бжанья, Из истории хозяйства абхазов. Этнографические очерки. Сухуми.
4. გვანცელაძე 1988 – თ. გვანცელაძე, ბატკან- და მწევარ-ფუძეთა ისტორიისათვის. ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

5. გვანცელაძე 1997 – თ. გვანცელაძე, 1561 წლის უცნობი იტალიური რუკა და აფხაზთა ისტორიული სამშობლოს ლოკალიზაცია, აღმნახი „არტანუჯი“, # 6. თბილისი.
6. კვარჩია 1981 – В. Е. Кварчия, Животноводческая (пастушеская) лексика в абхазском языке. Сухуми.
7. კლიმოვი 1986 – Г. А. Климов, Введение в кавказское языкознание. Москва.
8. ლომთათიძე 1976 – ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები. თბილისი.
9. ლომთათიძე 1981 – ქ. ლომთათიძე, ქართული „უბელო“ და ერთი ფონეტიკური პროცესის საკითხი აფხაზურში. კრებული აკაკი შანიძეს, თბილისი
10. მარტიროსოვი 1984 – არ. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტი ლექსიკონითურთ. თბილისი
11. სახოკია 1985 – თ. სახოკია. მოგზაურობანი. ბათუმი.
12. ღლონტი 1974 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი
13. შამილაძე 1974 – ვ. შამილაძე, მესაქონლეობა სამეგრელოში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, II თბილისი
14. ცხადაია 1999 – პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან. I. თბილისი
15. ჭარაია 1997 – პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

16. ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

MANANA BUKIA

HISTORICAL DYNAMICS OF THE LINGUISTIC  
RELATIONSHIP  
BETWEEN MEGRELIAN AND ABKHAZIAN  
(ON THE EXAMPLE OF THE  
VOCABULARY OF HORSE-BREEDING)

Megrelian dialect of the Colchian language and the Abkhazian language have considerable amount of common lexical units of cattle-beeding, and, particularly, of horse-breeding. The material for analysis is presented in three groups:

- a. Words that entered into the Abkhazian language from the Kartvelian languages through Megrelian;
- b. Abkhazian borrowings in Megrelian;
- c. Lexical units that were borrowed from oriental languages by Abkhazian in which one can trace Megrelian language elements as the evidence of the intermediary link.

Thematic groups of lexical units of mutual borrowings and ethnographical materials describing the routes through which Abkhazian and Megrelian let their cattle on the one hand, and on the other, the mechanism of possible phonological adaptation of

words by the recipient language make detectable the nature of the dynamics of mutual influences of the languages.

ქართველური მემკვიდრეობა, ტ. 4, ქუთაისი, 2000 წ. გვ. 98-105